ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

09. 03. 2015 №37

თბილისი

სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის
ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის 2015 წლის 04 მარტის წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2015 წლის 10 მარტს და დასრულდეს 2015 წლის 10 აპრილს, 16 საათზე. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის შენობაში (მის: ჭავჭავაძის გამზ.№60, IV სართული, ოთახი №423 ტელ: 2 22-72-00), 10 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. კონსურსი ჩატარდეს 2015 წლის 15 აპრილს.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

*დანართი №1.*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო ვაკანტური თანამდებობების ნუსხა და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. **ბუნებრივი კატასტროფების განყოფილება**
   - უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – სპეციალობით ინჟინერ–ჰიდროლოგი, გარემოს დაცვის მიმართულებით (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი);
   - მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – სპეციალობით ინჟინერ– მეტეოროლოგ-კლიმატოლოგი, ქიმიკოსი, გარემოს დაცვის მიმართულებით (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);

2. **მელიორაციის განყოფილება**
   - უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – სპეციალობით მათემატიკოსი, გარემოს დაცვის მიმართულებით (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);

3. **მელიორაციულის სისტემების დაპროექტებისა და ექსპერტიზის განყოფილება**
   - მეცნიერ–თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – სპეციალობით ინჟინერ– ჰიდროტექნიკოსი (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);

**კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:**

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) კადრების მიერ დამოწმებული შრომის წიგნაკის ქსეროასლი;

დ) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების, დოქტორის სამეცნიერო, აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) გამოქვეყნებულ შრომათა ნუსხა ბოლო 10 წელში (დამოწმებული);

ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სრულად წარმოაჩენს ავტორის სამეცნიერო მიმართულებას;

ზ) სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 5 წელში (ჩამონათვალი);

თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, დანერგვის აქტების და სხვ. ჩამონათვალი ბოლო 5 წელში;

ი) შესაბამისი დარგის ერთი მეცნიერის რეკომენდაცია (საკონტაქტო ინფორმაცია).